შეთანხმება

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის

განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და საქართველოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა (შემდგომში „აშშ მთავრობა“) და საქართველოს მთავრობა (შემდგომში „საქართველოს მთავრობა“), შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

აღიარებენ რა „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობისა და თავდაცვითი და სამხედრო კავშირების გაღრმავების შესახებ“ 1997 წლის 17 ივლისით დათარიღებულ, 2002 წლის 17 მაისს განახლებულ და 2009 წლის 13 ოქტომბერს განახლებულ და შესწორებულ შეთანხმებას (შემდგომში წოდებული, როგორც „გავრცელების თავიდან აცილების შეთანხმება“);

ასევე, აღიარებენ რა „ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, პათოგენებისა და ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 2002 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ, 2004 წლის 23 მარტს, 2004 წლის 30 აგვისტოს, 2005 წლის 3 ნოემბერს, 2006 წლის 23 ივნისს, 2007 წლის 6 მარტს, 2008 წლის 5 მარტს, 2009 წლის 13 აგვისტოს და 2011 წლის 8 აგვისტოს შესწორებულ შეთანხმებას (შემდგომში წოდებული, როგორც „საფრთხის ერთობლივი შემცირების (CTR) ერთობლივი ბიოლოგიური ჩართულობის პროგრამის განხორციელების შესახებ“ შეთანხება (CBEP)),

ასევე, გავრცელების თავიდან აცილების შეთანხმების და CTR CBEP-ის შეთანხმების თანახმად, საქართველოსთვის ბიოტერორიზმის საფრთხის დაძლევისა და ბიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებული მასალის, ტექნოლოგიებისა და ექსპერტიზის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოში დაარსებულ იქნა რა, განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემა (შემდგომში „ერთიანი ლაბორატორიული სისტემა“) და რიჩარდ გ. ლუგარის სახელობის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი (შემდგომში „ლუგარის ცენტრი“); და

სურთ რა, აშშ მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობას წარმატებით გადაეცეს ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და ლუგარის ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფის ხარჯები და სხვა პასუხისმგებლობები;

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1: მოქმედების სფერო

1. წინამდებარე შეთანხმება, თავის დანართებთან ერთად (რომლებიც წარმოადგენენ ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს), აღწერს და ამკვიდრებს აშშ მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისთვის, ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და ლუგარის ცენტრის ფუნქციონირების მიზნით, მხარეების წარმოდგენების, პასუხისმგებლობების, მოვალეობებისა და ვალდებულებების თაობაზე ორმხრივად შეთანხმებული პირობებით უზრუნველყოფის ხარჯებისა და სხვა პასუხისმგებლობების გადაცემას

2. მოცემული შეთანხმება ხორციელდება შემდეგი უწყებების მიერ (შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „განმახორციელებელი უწყებები“):

   ა)საქართველოს მთავრობის მხრიდან: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს მიერ;

   ბ) აშშ მთავრობის მხრიდან: თავდაცვის დეპარტამენტის (DoD) თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ.

3. წინამდებარე შეთანხმების პირობები ვრცელდება მხარეებზე და ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულ „განმახორციელებელ უწყებებზე“.

4. მიუხედავად, გავრცელების თავიდან აცილების შეთანხმებისა და CTR CBEP შეთანხმების ვადის დასრულებისა, წინამდებარე შეთანხმება და ყველა ის ღონისძიება, რომელიც განხორციელდება წინამდებარე შეთანხმების თანახმად, ექვემდებარება გავრცელების თავიდან აცილების შეთანხმებისა და CTR CBEP შეთანხმების დებულებებს. წინამდებარე შეთანხმებასა და გავრცელების თავიდან აცილების შეთანხმებას ან CTR CBEP შეთანხმებას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გავრცელების თავიდან აცილების შეთანხმებას ან CTR CBEP შეთანხმებას.

მუხლი II: განსაზღვრებები

1. „ერთიანი ლაბორატორიული სისტემა“ გულისხმობს განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიან ლაბორატორიულ სისტემას და მოიცავს ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიებს (რომელიც მოიცავს ლუგარის ცენტრი) და დანართ „ა“-ში ჩამოთვლილ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიულ ლაბორატორიებს.

2. “ლუგარის ცენტრი” – საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი საქართველოში, დანართ A-ში მოცემული განმარტების მიხედვით.

3. “განსაკუთრებით საშიში პათოგენი” გულისხმობს იმ პათოგენებს, რომლებიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბიოუსაფრთხოების სახელმძღვანელოს მიხედვით შეყვანილია მესამე ან მეოთხე რისკის ჯგუფში.

4. “დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი” - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

5. “სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია” - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია.

6. “ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია“ (ZDL) - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზონალური დიაგნოსტიკური ტერიტორიული ერთეული.

7. „რეგიონული ლაბორატორია“ (LSS) - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული დიაგნოსტიკური ტერიტორიული ერთეული („საველე სადგური“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემთხვევაში).

8. “საკუთრება” გულისხმობს მატერიალურ ან არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც შექმნილი ან მოწოდებული იქნა გავრცელების თავიდან აცილების

შეთანხმების და CTR CBEP-ის შეთანხმების ფარგლებში და რომლებიც გადაეცა ან უნდა გადაეცეს აშშ-ის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობას.

9. "უზრუნველყოფის ხარჯები" გულისხმობს დანადგარების ტექმომსახურების, ინსპექტირების და ექსპლუატაციის; კომუნალური მომსახურებების; დაცვის მომსახურების; აღჭურვილობის; ინფორმაციული ტექნოლოგიების (რომელშიც შედის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წარმოდგენილი დაავადებათა ეპიდზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის (EIDSS) და პათოგენების კონტროლის სისტემის (PACS) ქსელების ტექმომსახურება); ლაბორატორიული სახარჯი მასალების და მარაგების; ლუგარის ცენტრის ადგილობრივი თანამშრომლების სახელფასო და ერთიანი ლაბორატორიული სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო ნებისმიერ სხვა ხარჯებს.

10. „გარდამავალი პერიოდი" გულისხმობს პერიოდს, რომელიც დასრულდება 2018 წლის 1 იანვარს, რომლის განმავლობაშიც DTRA, აშშ-ის მთავრობის სახელით, ეტაპობრივად განახორციელებს ფინანსური და ფუნქციონალური პასუხისმგებლობების გადაცემას საქართველოს მთავრობისთვის დანართ „ბ"-ს შესაბამისად.

მუხლი III: პასუხისმგებლობები

1. წინამდებარე შეთანხმების განხორციელების მიზნით, განმახორციელებელი უწყებები ერთობლივად შეიმუშავებენ და კოორდინირებას გაუწევენ სამართლებრივად არასავალდებულო გარდამავალი პერიოდის ერთობლივ გეგმას, რომელსაც დაასრულებენ ერთობლივად არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა. გარდამავალი პერიოდის ერთობლივი გეგმა გავრცელდება წინამდებარე შეთანხმებასა და მისი დანართებზე, რათა განსაზღვრულ იქნას განმახორციელებელი უწყებების პასუხისმგებლობები, ქმედებები, დაფინანსების მოთხოვნები და დეტალური გრაფიკი, რაც აუცილებელია ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და ლუგარის ცენტრის ფუნქციონირების მხარდაჭერის/ხარჯების აშშ მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის პროცესის დასრულებისათვის.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ გარდამავალ პერიოდში DTRA, აშშ მთავრობის სახელით, შესაბამისი ფინანსების არსებობის პირობებში, უზრუნველყოფს:

   ა) გარდამავალ პერიოდში, საქართველოს მთავრობას გაუწიოს დახმარება ერთიანი ლაბორატორიული სისტემის უზრუნველყოფის ხარჯების დაფინანსებაში დანართ „ბ"-ში მოცემული გრაფიკის, ხარჯების მონაცემების

და პასუხისმგებლობების გადაცემისა და მოგვიანებით აღწერილი, გარდამავალი პერიოდის ერთობლივი გეგმის შესაბამისად;

ბ) დაეხმაროს საქართველოს მთავრობასა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, დაკმაყოფილებულ იქნას მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა ლუგარის ცენტრის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომლობის ოფიციალურ ცენტრად ჩამოყალიბებისთვის;

გ) გააგრძელოს DTRA-ის მიერ დამტკიცებული კვლევითი პროექტებისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი წარმომადგენლების DTRA-ს მიერ დამტკიცებულ საერთაშორისო კონფერენციებზე და ტრეინინგებზე დასასწრებად მგზავრობის ხარჯების დაფინანსება, თითოეული შემთხვევის ინდივიდუალურად განსაზღვრის შემდგომ;

დ) უზრუნველყოს მჭიდრო კოორდინაცია აშშ შეიარაღებული ძალების დეპარტამენტთან, აღმასრულებელ აგენტთან, ლუგარის ცენტრში აშშ თავდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლობითი წარმომადგენლობის მიზნით. აშშ შეიარაღებული ძალების დეპარტამენტი არ წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განმახორციელებელ უწყებას, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გაატაროს დამატებითი ღონისძიებები, ლუგარის ცენტრში აშშ თავდაცვის დეპარტამენტის თანამშროლობითი წარმომადგენლობის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს შეთანხმებების გაფორმებას აშშ თავდაცვის დეპარტამენტის და საქართველოს მთავრობის შესაბამის უწყებებს შორის, სადაც განსაზღვრული იქნება კონკრეტული ურთიერთობები და პასუხისმგებლობები, ფინანსური ან სხვა სახის, რომლებიც საჭიროა ლუგარის ცენტრში აშშ თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლობის მხარდასაჭერად.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ გარდამავალ პერიოდში საქართველოს მთავრობა და მისი განმახორციელებელი უწყებები უზრუნველყოფენ:

ა) გარდამავალ პერიოდში, აშშ-ის მთავრობის დახმარებას ერთიანი ლაბორატორიული სისტემის უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად დანართ „ბ“-ში მოცემული გრაფიკის, ხარჯების მონაცემების და პასუხისმგებლობების გადაცემისადა შემდგომში, გარდამავალი პერიოდის ერთობლივი გეგმის შესაბამისად;

ბ) საჭირო მოქმედებების განხორციელებას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის რათა დაკმაყოფილებულ იქნას მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა ლუგარის ცენტრის

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომლობის ოფიციალურ ცენტრად ჩამოყალიბებისთვის;

გ) ლუგარის ცენტრში სხვა სააგენტოებისა და ინსტიტუტების წარმომადგენელი კვალიფიციური მეცნიერების მუშაობის ხელშეწყობას, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ერთობლივად შემუშავებული „ერთიანი ჯანმრთლობის" ("One Health") ხედვის სტიმულირება. აღნიშნული სააგენტოების არასრული ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს ელიავას ინსტიტუტს და სოფლის მეურნეობის ლაბორატორიას; და

დ) თანამშრომლების არსებული რაოდენობის, სამუშაო კომპეტენციებისა და უნარების შენარჩუნებას, რაც აუცილებელია ერთიანი ლაბორატორიული სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისა და მოვლა-შენარჩუნებისთვის, რომელიც მოიცავს ექსპლუატაციას, ტექმომსახურებას და უსაფრთხოებას; ასევე ლუგარის ცენტრის შიდა დაცვის თანამშრომლების შენარჩუნებას, რომლებიც მომზადებულები და ამ ეტაპზე დაფინანსებულები არიან DTRA-ს მიერ, რათა უზრუნველყოფილ იყოს ერთიანი ლაბორატორიულ სისტემის უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირება. წამყვანი თანამშრომლების შენარჩუნების და ექსპლუატაცია/ტექმომსახურების შესაძლებლობების საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის შესახებ დეტალები განისაზღვრება გარდამავალი პერიოდის ერთობლივ გეგმაში;

4. 2018 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს მთავრობას დაეკისრება ერთიანი ლაბორატორიული სისტემის უზრუნველყოფისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო უზრუნველყოფის ყველა ხარჯის საკუთარ თავზე აღება, რომელიც ასევე მოიცავს აღჭურვილობის შეცვლასთან და ერთიან ლაბორატორიულ სისტემაში წარმოქმნილ გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებულ ხარჯებს. გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ, ერთიანი ლაბორატორიული სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს EIDSS-ის და PACS-ის სისტემების შენარჩუნება და მოვლა.

5. აშშ მთავრობის ნებისმიერმა თანამშრომელმა, რომელიც ლუგარის ცენტრში იქნება, უნდა ისარგებლოს ფიზიკური დაცვის სამსახურით, რომელსაც საქართველოს მთავრობა გამოყოფს ამ ცენტრისთვის. საქართველოს მთავრობა ითანამშრომლებს და კოორდინაციაში იქნება აშშ მთავრობასთან ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება აშშ მთავრობის თანამშრომლის უსაფრთხოებას, რომელიც შესაძლოა, იმყოფებოდეს ზემოხსენებულ ცენტრში. ნებისმიერ საკითხზე, რომელიც შეეხება ცენტრს ან აშშ მთავრობის თანამშრომელს,

რომელიც ზემოხსენებულ ცენტრში მუშაობს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს კონსულტირება საქართველოს მთავრობასა და აშშ მისიას შორის.

მუხლი IV: ძალაში შესვლა და ცვლილებები

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა შორის დიპლომატიური ნოტების გაცვლის ბოლო ნოტის თარიღიდან, რომელიც ადასტურებს, რომ თითოეულმა მხარემ შეასრულა ყველა შესაბამისი პროცედურა, რომელიც საჭიროა ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის, და ძალაშია გავრცელების თავიდან აცილების შეთანხმების მოქმედების ვადით, ან 2019 წლის 31 დეკემბრამდე, რომელი თარიღიც უფრო გვიან იქნება.

2. წინამდებარე შეთანხმებაში, მხარეთა ერთობლივი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები.

წინამდებარე შეთანხმება იდება ორ დედნად, თითოეული ინგლისურ და ქართულ ენებზე. შეთანხმების ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

შეთანხმება ხელმოწერილია სათანადო უფლებამოსილების მქონე პირების მიერ 2014 წლის 5 ივნისს, თბილისი, საქართველო.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით	**საქართველოს მთავრობის სახელით**

დანართი "ა"

განსაკუთრებით საშიში დაავადებების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემის ლაბორატორიები

1. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადამიანის ჯანდაცვის ლაბორატორიებია:
   ა) რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი (ლუგარის ცენტრი):
      i. საქართველოს განსაკუთრებით საშიში პათოგენების მუზეუმის ცენტრალური საცავი;
      ii. ზედა დონის BSL-3 დიაგნოსტიკური ლაბორატორია;
      iii. ბიოუსაფრთხოების და ბიოდაცვის რეგიონული სასწავლო ცენტრი;
   ბ) ორი (2) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზონალური ლაბორატორია ქუთაისში და ბათუმში
   გ) შვიდი (7) საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული ლაბორატორია გორში, თელავში, ფოთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ახალციხეში და ამბროლაურში.

2. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ვეტერინარული ლაბორატორიებია:
   ა) სამი (3) ვეტერინარული ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია თბილისში, ქუთაისში და ახალციხეში;
   ბ) რვა (8) ვეტერინარული საველე სადგური დუშეთში, მარნეულში, გურჯაანში, გორში, ოზურგეთში, ამბროლაურში, ბათუმში და ზუგდიდში.

მხარეების უზრუნველყოფის სავარაუდო წლიური ხარჯები და ვალდებულებები ერთიან ლაბორატორიულ სისტემასთან და ლუგარის ცენტრთან დაკავშირებით, კალენდარული წლების მიხედვით

ერთიანი ლაბორატორიული სისტემის უზრუნველყოფის ყოველწლიური ხარჯები, რომლის ვალდებულებასაც თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო გადასცემს საქართველოს მთავრობას, შეადგენს დაახლოებით 3.794 მილიონ აშშ დოლარს. საქართველოს მთავრობა ამ უზრუნველყოფის ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებს ეტაპობრივად გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ცხრილი #1-ის მიხედვით:

- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზონალური ლაბორატორიები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული ლაბორატორიები - 0.705 მილიონი აშშ დოლარი
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის ცენტრი - 2.541 მილიონი აშშ დოლარი
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია – 0.548 მილიონი აშშ დოლარი

ცხრილი #1

	2014	2015	2016	2017	2018
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	0.364	0.728	1.200	1.800	3.246
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	0.0	0.091	0.172	0.277	0.548
სულ	0.364	0.819	1.372	2.077	3.794

თანხები მოცემულია მილიონ აშშ დოლარებში ($M) და წარმოადგენს 2012 წლის განმავლობაში აშშ-ის მთავრობის მიერ გაწეულ ფაქტიურ ხარჯებს

დანართი „ბ“, გვერდი 2

მხარეთა ვალდებულებები 2014 კალენდარული წლისთვის

1. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით, DTRA, შესაბამისი ფინანსების არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს:

ა) დააფინანსოს ერთიანი ლაბორატორიული სისტემის უზრუნველყოფის ხარჯებს ერთიანი ლაბორატორიული სისტემის სახარჯი მასალების შესყიდვისა და მიწოდების ჩათვლით, გარდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის ცენტრის ელექტროენერგიის ხარჯისა.

ბ) საჭიროებისამებრ გააგრძელოს EIDSS-ისა და PACS-ის ქსელების ტექ-მოსახურებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა მათი საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის მხარდაჭერის პარალელურად;

გ) დაასრულოს გარდამავალი პერიოდის ერთობლივი გეგმა;

დ) განახორციელოს ყველა ღონისძიება, რაც საჭიროა ყველა სახის აქტივის, მათ შორის DTRA-ს მიერ მოწოდებული, ერთიანი ლაბორატორიული სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ქონებისა და აღჭურვილობის, საქართველოს მთავრობის საკუთრებაში გადასაცემად.

2. საქართველოს მთავრობა:

ა) აანაზღაურებს ლუგარის ცენტრის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯებს 2014 წლის მაისიდან.

ბ) ხელს შეუწყობს ყველა საჭირო საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ცვლილების განხორციელებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთიანი ლაბორატორიული სისტემისთვის განსაკუთრებით საშიშ პათოგენებთან დაკავშირებული აღჭურვილობის, სახარჯი მასალების და რეაქტივების შესყიდვების პროცესის დაჩქარება, რისთვისაც აუცილებელია, რომ ეს მასალები განთავისუფლებულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისგან აღნიშნული მასალების შესყიდვისა და მარაგების შევსების ვალდებულების საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის შემდეგ. ერთიანი ლაბორატორიული სისტემისთვის განკუთვნილი, აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნებისგან განთავისუფლებული აღჭურვილობის, სახარჯი მასალების და რეაქტივების სია უნდა დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის მიერ და განახლდეს სამ წელიწადში ერთხელ.

გ) განახორციელებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას, რაც საჭიროა DTRA-ს მიერ საქართველოში CBEP პროგრამის ფარგლებში მოწოდებული აქტივებისა და ქონების, მათ შორის ლუგარის ცენტრის შენობის, საკუთრებაში მისაღებად;

დ) დაიწყებს ლუგარის ცენტრში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობას;
ე) იმუშავებს DTRA-სთან და მის მიერ სახელდასმულ კონტრაქტორებთან გარდამავალი პერიოდის ერთობლივი გეგმის დასასრულებლად არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა.

მხარეთა ვალდებულებები 2015 კალენდარული წლისთვის

1. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით, DTRA, შესაბამისი ფინანსების არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს:

ა) დააფინანსოს ერთიანი ლაბორატორიული სისტემის უზრუნველყოფის ხარჯები, გარდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის ცენტრის ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი გაზის, ასევე ყველა ვეტერინარული ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის და საველე სადგურის კომუნალური მომსახურებების, დაცვის მომსახურებების, ავტომობილების დაზღვევის და ლაბორატორიის პერსონალის ყოველწლიური სამედიცინო შემოწმების ხარჯებისა;
ბ) დაასრულოს მოძველებული და ექსპლუატაციიდან ამოღებული ლაბორატორიული აღჭურვილობის განახლება და შეცვლა ზონალურ და რეგიონულ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებში, საველე სადგურებში და ლუგარის ცენტრში, მხარეების მიერ გარდამავალი პერიოდის ერთობლივ გეგმაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
გ) ქართულ მხარეს გადასცეს EIDSS-ის და PACS-ის განთავსების ყველა ობიექტზე ინტერნეტ არხების ხარჯებთან და EIDSS-ის და PACS-ის აღჭურვილობის ტექმომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

2. საქართველოს მთავრობა:

ა) აანაზღაურებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის ცენტრის ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი გაზის ხარჯებს
ბ) აანაზღაურებს ყველა ვეტერინარული ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის და საველე სადგურის კომუნალური მომსახურებების, დაცვის მომსახურებების, ავტომობილების დაზღვევის და ლაბორატორიის პერსონალის ყოველწლიური სამედიცინო შემოწმების ხარჯებს
გ) საკუთარ თავზე აიღებს EIDSS-ის და PACS-ის განთავსების ყველა ობიექტზე ინტერნეტ არხების ხარჯებთან და EIDSS-ის და PACS-ის აღჭურვილობის ტექმომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას.

This page intentionally left blank

მხარეთა ვალდებულებები 2016 კალენდარული წლისთვის

1. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით, DTRA, შესაბამისი ფინანსების არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს:

   ა) დააფინანსოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის ცენტრის უზრუნველყოფის ხარჯები, გარდა 1) ლუგარის ცენტრის ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი გაზის ხარჯებისა; და 2) ყველა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზონალური ლაბორატორიის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული ლაბორატორიის უზრუნველყოფის ხარჯებისა;
   ბ) დააფინანსოს ვეტერინარული ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიების და საველე სადგურების უზრუნველყოფის ხარჯები, გარდა კომუნალური მომსახურებების, დაცვის მომსახურებების, ავტომობილების დაზღვევის და ლაბორატორიის პერსონალის ყოველწლიური სამედიცინო შემოწმების და საწვავის ხარჯებისა.

2. საქართველოს მთავრობა:

   ა) აანაზღაურებს ერთიანი ლაბორატორიული სისტემის უზრუნველყოფის ხარჯებს, რაც მოიცავს ლუგარის ცენტრის ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი გაზის, ასევე ყველა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზონალური ლაბორატორიის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული ლაბორატორიის სრული უზრუნველყოფის ხარჯებს
   ბ) აანაზღაურებს ყველა ვეტერინარული ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის და საველე სადგურის უზრუნველყოფის ხარჯებს, რაც მოიცავს კომუნალური მომსახურებების, დაცვის მომსახურებების, ავტომობილების დაზღვევის და ლაბორატორიის პერსონალის ყოველწლიური სამედიცინო შემოწმების და საწვავის ხარჯებს
   გ) დაასრულებს ლუგარის ცენტრში NCDC-ის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობას.

მხარეთა ვალდებულებები 2017 კალენდარული წლისთვის

1. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით, DTRA, შესაბამისი ფინანსების არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს:

   ა) დააფინანსოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის ცენტრის უზრუნველყოფის

ხარჯები, გარდა ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი გაზის ხარჯებისა და ექსპლუატაციის და ტექმომსახურების ადგილობრივი პერსონალის ხელფასებისა;
ბ) საჭიროებისამებრ დააფინანსოს ლუგარის ცენტრის ძირითად პოზიციები, როგორიცაა შენობის ავტომატიზირებული სისტემის ქართველი ოპერატორის მენტორები და დაწესებულების მთავარი ინჟინერი;

გ) დააფინანსოს ვეტერინარული ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიების და საველე სადგურების საოფისე და ლაბორატორიული მარაგების რეაქტივებისა და სახარჯი მასალების ხარჯები.

2. საქართველოს მთავრობა:

ა) აანაზღაურებს ყველა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზონალური ლაბორატორიის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული ლაბორატორიის სრული უზრუნველყოფის ხარჯებს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის ცენტრის უზრუნველყოფის ხარჯებს, რაც მოიცავს ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი გაზის ხარჯებს, ექსპლუატაციისა და ტექმომსახურების ადგილობრივი კადრების ხელფასებს, ან თუ ეს უკანასკნელი არარენტაბელური იქნება, დაიქირავებს ექსპლუატაციის და ტექმომსახურების კონტრაქტორს, რათა უზრუნველყოს დაწესებულებების გამართული მუშაობა.
ბ) სრულად აანაზღაურებს ყველა ვეტერინარული ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის და საველე სადგურის უზრუნველყოფის ხარჯებს, გარდა საოფისე და ლაბორატორიული მარაგების რეაქტივების და სახარჯი მასალების ხარჯებისა.

მხარეთა ვალდებულებები 2018 კალენდარული წლისთვის და შემდგომ პერიოდში

2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იქნება ერთიანი ლაბორატორიული სისტემის უზრუნველყოფის და ექსპლუატაციის ყველა ხარჯის დაფინანსებაზე, რაც მოიცავს აღჭურვილობის შეცვლის ხარჯებს, ისევე როგორც ლაბორატორიული ქსელის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსებას.